



**ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრი**

23 / აგვისტო / 2024 წ.



KA020194137494424

№ 1-1/323

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა


**განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემით
მოსარგებლეების პირდაპირი წესით შერჩევის გამოცხადების შესახებ**

„განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემისა და სიმძლავრის აუქციონის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 დეკემბრის N556 დადგენილების მე-4¹ მუხლის მე-2 პუნქტის და „განახლებადი წყაროებიდან ელექტროსადგურის მიერ ელექტროენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემით მოსარგებლეების ფიქსირებული ტარიფის დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის პირველი აგვისტოს N1087 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემით მოსარგებლეების განსაზღვრის მიზნით, გამოცხადდეს პირდაპირი წესით შერჩევა შემდეგ კატეგორიებზე:
 - ჰიდროელექტროსადგურები (მოდინებაზე) - 6,5 აშშ დოლარ ცენტი;
 - ქარის ელექტროსადგურები - 6,0 აშშ დოლარ ცენტი;
 - მზის ელექტროსადგურები - 5,6 აშშ დოლარ ცენტი.
- განაცხადების მიღების დაწყების თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 2 სექტემბრის 09:00 საათი, ხოლო დასრულების თარიღად - 2024 წლის 31 დეკემბრის 18:00 საათი.
- თითოეული დაინტერესებული პირის მიერ განაცხადის წარდგენა და მისი პირდაპირი წესით შერჩევა უზრუნველყოფილ იქნეს ამ ბრძანების დანართით განსაზღვრული განაცხადის ფორმის, „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემისა და სიმძლავრის აუქციონის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 დეკემბრის N556 დადგენილების და „განახლებადი წყაროებიდან ელექტროსადგურის მიერ ელექტროენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემით მოსარგებლეების ფიქსირებული ტარიფის დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის პირველი აგვისტოს N1087 განკარგულების მოთხოვნების შესაბამისად.
- ეს ბრძანება და თანდართული განაცხადის ფორმა განთავსდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე: www.economy.ge.
- ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრი



ლევან დავითაშვილი